გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, წარმოდგენილი გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის სახით, რომელსაც წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თბილისში, ნინო ჩხეიძის ქ. 38, თბილისი, საქართველო, რომელსაც თავის მხრივ წარმოადგენს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი პეტერ ფიშერი

შემდგომში „გრანტის გამცემი"

და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, ქ. ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. N6, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე ბაბილოძის მიერ **და** სოფელ ცხემლისხიდის საბავშვო ბაღი, წარმოდგენილი ნინო ვაშაყმაძის მიერ, რომლებიც მოქმედებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით

შემდგომში "გრანტის მიმღები".

გერმანის კანონმდებლობის საფუძველზე დებენ შემდეგ

ხელშეკრულებას

1. გრანტის გამოყოფა

გრანტის გამცემი დეფიციტის დაფინანსებისათვის გრანტის მიმღებს გამოუყოფს არადაბრუნებად გრანტს მაქსიმუმ 27600 ლარის (სიტყვიერად: ოცდაშვიდი ათას ექვსასი ლარი) ოდენობით,

რომლის ექვივალენტი ევროში არ უნდა აღემატებოდეს 10000 ევროს,

2025 წლის 14 იანვრის განაცხადით წარმოდგენილი პროექტისთვის „ეზო, რომელიც ბავშვებს ეყვარებათ" (გრანტის მიზანი). დამტკიცებული გრანტის ექვივალენტი ევროში გამოიანგარიშება გრანტის გამცემის ბუღალტერიაში გრანტის გადახდის დღისათვის დაფიქსირებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გრანტის დამტკიცება ხორციელდება ზემოხსენებული საპროექტო განაცხადისა და 2025 წლის 14 იანვრის ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე და ეს ორივე დოკუმენტი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

2. გრანტის მიზნები:

გრანტის მიზნებს წარმოადგენს შემდეგი:

ცხემლისხიდის საბავშვო ბაღში ყოვლისმომცველი და ინკლუზიური ეზოს მოწყობა, უნივერსალური ბაღის პრინციპებზე დაყრდნობით.

სავალდებულოა შემდეგი ინდიკატორები:
ინკლუზიური საბავშვო ბაღისთვის დაფინანსების გეგმაში წარმოდგენილი საგნების შეძენა და მათი მონტაჟი.

მიზნებისა და ინდიკატორების შესაცვლელად აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების შეცვლა. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლის რეგულაციები.

3. გრანტის გამოყოფის პერიოდი

გრანტის გამოყოფის პერიოდი არის 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

გრანტის მიმღები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში დასახელებული პროექტი ჯერ არ დაწყებულა.

გადახდის გეგმის ცვლილებები დამოკიდებულია ბიუჯეტში ხელმისაწვდომ სახსრებზე. გრანტის მიმღებს არ აქვს დაფინანსების გეგმის ცვლილებების სამართლებრივი უფლება.

4. გრანტის გამოყოფა

გრანტის გამცემის მიერ გრანტის სრული თანხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, რეალურად არის თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის ბიუჯეტში გრანტის თანხის სრული ოდენობა (საბიუჯეტო პირობა).

გრანტის გამცემი იტოვებს უფლებას, მოგვიანებით შეამციროს გრანტი ან გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გრანტისთვის აუცილებელი თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ აღარ იქნება ხელმისაწვდომი (მაგ. ბიუჯეტის ბლოკირების გამო).

გრანტის მიმღების მოთხოვნის საფუძველზე გრანტის გამცემი თანხას მთლიანად ან რამდენიმე ნაწილად გადარიცხავს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: ცხემლისხიდის საბავშვო ბაღი

ბანკის დასახელება: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი: GE65NB03311000011502070

დანიშნულება: Ez-445.40 D-2025

გამოყოფილი გრანტებიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ მომავალი დაფინანსება იმავე ოდენობით იქნება შესაძლებელი.

გრანტი გამოიყოფა იმ წინაპირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება პროექტის სრული დაფინანსება სავარაუდო შემდგომი ხარჯების ჩათვლით.

გრანტის მიმღებისთვის ცნობილია, რომ მან ნებისმიერ შემთხვევაში სრულად უნდა შეასრულოს ყველა ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთთან დაკავშირებული სპეციალური დამატებითი დებულებების (BNBest-AA-Ausland) ჩათვლით.

5. ხარჯთაღრიცხვა (დაფინანსების გეგმა)

ხარჯთაღრიცხვა 2025 წლის 14 იანვრის რედაქციით წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის მოთხოვნების და გრანტით დაფინანსებადი პუნქტების შესაბამისად იძენს იურიდიულ ძალას.

გრანტი გამოყენებული უნდა იყოს ეკონომიურად. ეკონომიურობის პრინციპის თანახმად, მოძიებული უნდა იყოს ყველაზე ხელსაყრელი კავშირი დასახულ მიზანსა და გამოსაყენებელ საშუალებებს (რესურსებს) შორის.

გამოყოფილი თანხები არ უნდა იქნას გამოყენებული ჭარბი შემოსავლის შესაქმნელად.

გაცვლითს საკომისიოები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბსოლუტურად აუცილებელია და გარდაუვალია პირველ მუხლში აღწერილი პროექტის განხორციელებისთვის.

არ დაფინანსდება გრანტის მიმღების რეგულარული ხარჯები (მაგ. მუდმივი პერსონალის ხარჯები, უკვე არსებული ობიექტების ქირისა და კომუნალური ხარჯები).

6. სატენდერო დებულებები

გრანტის მიმღები ახორციელებს პროექტს მარტო და საკუთარი პასუხისმგებლობით. ეკონომიურობის საფუძველზე და შანსების თანასწორობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით მიწოდების, მშენებლობის ან სხვა მომსახურების შესყიდვა, ასევე კონცესია როგორც წესი უნდა განხორციელდეს კონკურსის გზით. დაკვეთები, რომელთა ღირებულება 44000 ლარს არ აღემატება, შეიძლება გაიცეს სატენდერო პროცედურის გარეშე. დანარჩენ შემთხვევაში ვრცელდება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთთან დაკავშირებული სპეციალური დამატებითი დებულებები (BNBest-AA-Ausland), კერძოდ BNBest-AA-Ausland-ის მე-3 მუხლი.

6.1 საგნების შეძენა

შეძენილი საგნები (ბატუტი, ხის სახლი, ხის სამზარეულო და სხვა) გამოყენებული უნდა იყოს პროექტის დამტკიცებული პერიოდის დასრულებამდე (საბიუჯეტო ვადა) და წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული გრანტის მიზნებისათვის.

გრანტის მიმღებს შეუძლია შეძენილი საგნები გამოიყენოს პროექტის ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ მხოლოდ იმ დანიშნულებით, რომელიც გათვალისწინებული იყო პროექტის განხორციელების პერიოდში.

გრანტის გამცემი უფლებამოსილია, ადგილზე შეამოწმოს აღწერილი საგნები ან შეამოწმებინოს ისინი მის მიერ უფლებამოსილ პირს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ხარჯების შემთხვევაში დოკუმენტირებული უნდა იყოს გამოყენებული გაცვლითი კურსები და გერმანიის საელჩოს ბუღალტერიაში მოქმედი გაცვლითი კურსი და გადაყვანილი უნდა იყოს ევროში.

7. უფლებების დაცვა

გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას, გრანტის გამცემთან შეთანხმებით ფინანსური ხელშეწყობა სათანადო ფორმით საჯაროდ თვალსაჩინო გახადოს და დაიცვას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთთან დაკავშირებული სპეციალური დამატებითი დებულებები (BNBest-AA-Ausland).

8. ბუღალტრული აღრიცხვა და თანხის დაბრუნების პირობები

გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას, მის ფინანსებთან დაკავშირებით პირველ მუხლში აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში მუდმივად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისას ან შემდეგ დადგინდა, რომ გრანტის თანხის ნაწილი არ არის ან აღარ არის საჭირო გრანტის მიზნისათვის, თანხის ეს ნაწილი - შესაბამის შემთხვევაში დარიცხული პროცენტით - დაუყოვნებლივ და მოთხოვნის გარეშე უნდა გადაირიცხოს გრანტის გამცემის საბანკო ანგარიშზე პროექტის ნომრის მითითებით: თიბისი ბანკი, ანგარიშის ნომერი GE79 TB07 0000 0000 6094 07. ამის შესახებ პარალელურად წერილობით უნდა ეცნობოს გრანტის გამცემს.

2025 წლის ბიუჯეტიდან თანხების ბოლო მოთხოვნა გრანტის გამცემს უნდა წარედგინოს მაქსიმუმ 2025 წლის 3 დეკემბრამდე. დაგვიანებით შეტანილი მოთხოვნები როგორც წესი აღარ განიხილება. ის თანხები, რომლებიც არ იქნება მოთხოვნილი, გაუქმდება მიმდინარე წლის ბიუჯეტში. მათი გამოყენება დამოკიდებულია მომავალ წლებში ბიუჯეტში თანხების ხელმისაწვდომობაზე.

9. ხელშეკრულების პირობების დარღვევა

გრანტის გამცემი იტოვებს უფლებას, მოგვიანებით შეამციროს გრანტი ან გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ

ა) გრანტის მიმღები მონაწილეობს ან ხელს უწყობს ტერორისტულ საქმიანობას,

ბ) გრანტის მიმღები აღვივებს სიძულვილს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის, მოსახლეობის ნაწილის ან ინდივიდის მიმართ ზემოაღნიშნული

ჯგუფების ან მოსახლეობის ნაწილისადმი მისი კუთვნილების გამო და მოუწოდებს ძალადობის ან თვითნებური ქმედებებისკენ.

გრანტის მიმღები ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გერმანიის ფედერალური გრანტები არ იქნას გამოყენებული ტერორისტული საქმიანობის დასაფინანსებლად და არ გაიცეს იმ მიმღებებზე, რომლებიც წარმოადგენენ ტერორისტულ ორგანიზაციებს ან მხარს უჭერენ ტერორისტულ ორგანიზაციებს.
ანაზღაურებას ექვემდებარება ევროში მოცემული თანხები (ეტაპობრივი გადახდის შემთხვევაში ევროს თანხების ჯამი), რომლებიც საელჩოს ბუღალტერიის მიერ თანხის გაცემისას იქნა მითითებული.

ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურების შემთხვევაში გადახდილად ითვლება ევროს ის თანხა, რომელიც მიიღება საელჩოს ბუღალტერიაში თანხის დაბრუნების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

10. ანგარიში გრანტის გამოყენების შესახებ

თუ გრანტის მიმღები ქვითრების შესანახად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტებს (მაგ. დასკანირებულს ან BNBest-AA-Ausland-ის 6.5 მუხლის შესაბამისად), უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ დასკანირებული დოკუმენტი შეესაბამებოდეს ორიგინალს და დაცული იყოს ცალკეული დოკუმენტების ურთიერთკავშირი. სხვა რეგულაციებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები უცვლელი რჩება.

თუ დოკუმენტები შეიქმნა მონაცემთა დამუშავების სისტემის გამოყენებით, გრანტის გამცემი ორგანო BNBest-AA-Ausland-ის მე-7 მუხლის თანახმად უფლებამოსილია, შეამოწმოს შენახული მონაცემები და გამოიყენოს მონაცემთა დამუშავების სისტემა ამ დოკუმენტების შესამოწმებლად, ან მოითხოვოს შენახული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ელექტრონულად წასაკითხ მონაცემთა შენახვის საშუალებაზე გრანტის გამცემი ორგანოს წესების შესაბამისად. დოკუმენტები ითვლება მონაცემთა დამუშავების სისტემის გამოყენებით შექმნილად, თუ ისინი თავდაპირველად შეიქმნა ელექტრონულად ან შემდგომში გააციფრულეს, მაგალითად, სკანირებისა და მონაცემთა მატარებელზე შენახვის გზით. გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტები და მიაწოდოს გრანტის გამცემს საჭირო ინფორმაცია. თუ ამ გრანტიდან თანხები გადაეგზავნა მესამე პირებს, გრანტის გამცემი ორგანოს ეს უფლებები ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მესამე მხარის მიმართ.

11. სპეციალური დამატებითი დებულებები

პროექტის დაფინანსების ფარგლებში გერმანიის ფარგლებს გარეთ მოქმედი გრანტის მიმღებთათვის გრანტების გაცემის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს სპეციალური დებულებების მოქმედი ვერსია (BNBest-AA-Ausland) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების სავალდებულო კომპონენტს. იგი თან ერთვის ამ შეთანხმებას **დანართი 1**-ის სახით. გრანტის მიმღებმა უნდა დაიცვას BNBest-AA-Ausland-ის პირობები და დებულებები, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შემდგომ ტექსტში.

BNBest-AA-Ausland-ის 12.3 მუხლის დამატებით გასათვალისწინებელია გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (https://www.auswaertiges-amt.de/de/datenschutz-node).

12. ხელშეკრულების ცვლილება

საგრანტო ხელშეკრულების მთლიანი ან მისი ცალკეული დებულებების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულების გერმანული და ქართული ტექსტების განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების გერმანულ ტექსტს.

13. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების ხელმოწერაზე უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაში რჩება მანამ, სანამ გრანტის გამცემი და გრანტის მიმღები არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებას.

თბილისი, 2025 წლის 30 სექტემბერი

..... (პეტერ ფიშერი, ელჩი)

..... (ნინო ვაშაყმაძე)

..... (ეკატერინე ბაბილოძე)